**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ნიდლეპლის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მ. 75 კ.**

წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანხმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 20, დილის 10 საათზე, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის იანვრის 1-დამ სექტემბრის 1-მდე;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1888—1889 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (4—4)

ტფილისი, 15 ნოემბერი

კვირა დღეს, ამ 13-ს ნოემბერს, მთელი უბანი სასახლიდამ დაწყებული თამამშოვის ქარვასლამდე თითქმის სავსე იყო ხალხითა. ქალსა და კაცსა, დიდსა და პატარას თავი მოეყარა ქამოანთ სომხის ეკკლესიასთან, რომელიც სასახლის ქუჩის დასაწყისშია, და იქ რომ ვერ დატევეულიყო, მთელი ქუჩა გაევსო. ამ ეკკლესიაში ანდერძს უგებდა სომხის სამღვდელოება უბედურს მანის, რომელმაც თავისის ხელით თავი მოიკლა. ვინ იყო ეს მანი? იგი იყოვო, ამბობენ, ერთი პატიოსანი ვაჭარი სომეხი, უცხოეთიდამ მოსული ჩვენს ქვეყანაში სავაჭროდ. იგი ასე თუ ისე ჩავარდნია ხელში აქაურს სომეხსვე, რომლის ბევრი თუ ცოტა ვალი დასდებია და აქაურს იქაურისთვის ისე წაუჭერებია ყელში თოკი, რომ უბედურს სხვა გზა ხსნისა არა ჰქონია, ან „ნაძრახი სიცოცხლე“ უნდა აერჩია, ან სიკვდილი. სჯობს სიკვდილიო, უთქვამს და მოუკლავს კიდეც თავი.

ხოლო მინამ ამ თავის გაწირვამდე მივიდოდა, ბევრი კაცი შეუწუხებია თავისის მოძმესათვის და უთხოვნია, მადროვე და როგორმე შემაძლებინე შენის ვალის გადახდაო. მოვალეს არავითარი თხოვნა არ შეუწყნარებია და იმასაც აუღია და დაუცია თავის თავისთვის დამბაჩა. ესე გათავებულა სომხისაგან სომეხი კაცი—მამა, როგორც ამბობენ, ხუთის შვილისა. ეს ამისთანა ამბავი ჩვენში „არ ახალია, ძველია“. არა გვგონია ამ ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში დღე ისე გავიდეს, რომ სადმე ჩვენდა უხილავად, ჩვენდა შეუტყობრად არ მოხდეს ან ამისთანა საქმე, ან ამისი მსგავსი რამ, რომელიც სიკვდილთან თანასწორია. ბევრი კაცია, თუ არ ესე წუთი-სოფელს გამოსალმებული, მიწასთან მაინც გასწორებული, ოჯახდამხობილი, გაწყალებული და გათახსირებული ადამიანის სიხარბისა და გულქვაობისაგან. ვის რად უკვირს ეს უბედურის მანის ამბავი? საცა კაცს ერთად-ერთი საგალობელი-და აქვს: «ფული, ფული და ფულის მეტი სხვა არა-რა», იქ რად უნდა გვიკვირდეს ან ის, რომ გამგელებული სიხარბე, კაცის გამწირავია, კაცს არა ჰზოგავს, არ ინდობს; ან ის, რომ სიცოცხლე სიკვდილზე უარესია. განა ეს ასე არ უნდა იყოს იმათ შორის, რომელნიც კაცურ-კაცობას მარტო ფულის შოვნაში ჰხედავენ და ერთად-ერთ საგნად ცხოვრებისად მარტო ეს შოვნა აქვსთ მიჩნეული და სხვა არა-რა.

ამ გაუპატიურებას, გაბიაბრუებას კაცურ-კაცობისას ადამიანი კიდევ როგორმე გაუძლებდა, როგორმე აიტანდა, რომ თვითონ გზანი ფულის შოვნისანი ერთ ნაირად პატივდებულნი და შეწყნარებულნი არ იყვნენ: ცუდია, თუ კარგი, საძრახია თუ უძრახი, ნამუსიანია, თუ ნამუს-ახდილი, სულ ერთია, ოღონდ ფული-კი აშოვნინოს. ფულიანი კაციაო, იტყვიან და გათავდა!.. მისი კაცური ღირსება დამყარებულია, საქებ-სადიდებელია. ვიმეორებთ, მაშ რად გვიკვირს, რომ ადამიანი ადამიანს სასიკვდილოდაც არა ჰზოგავს გროშისათვის? ფულის შოვნის სიხარბისაგან გაათვრებულს კაცს განა მოეთხოვება იმისთანა გრძნობა, როგორც, მაგალითებრ, კაცთ-მოყვარეობაა, სიბრალულია, გულ-შემატკივარობაა და სხვა ამისთანა პატიოსანი სითბო სულისა და გულისა? ფულის შოვნის სიხარბე ისეთს ჟანგს მოჰკიდებს ხოლმე სულსაცა და გულსაც, რომ არავითარი გრძნობა ვეღარ ისადგურებს ადამიანში. „ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწდომელი“, დღეს ჩვენში თავ-მოსაწონებელი თქმა აღარ არის. ამის მთქმელს დღეს ჩვენში სასაცილოდ აიგდებენ: თუ ცოტა აქვს, მაგ სულელს თავი რიღათი მოაქვსო, იტყვიან.

ამიტომაც იმაში, რომ მოვალემ თავისი სხვერპლი სიკვდილამდე მიიყვანა და თავი მოაკვლევინა, ჩვენ ახალს არასა ვხედავთ: ეს ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა სავალალოდ და სავაგლახოდ ესე ყოფილა ჩვენში და იქნება კიდეც, ვიდრე ჩვენებურს კაცს ძვალ-რბილში არ გაუჯდება, რომ კაცობა ადამიანისა ფული არ არის და სიღარიბე, უფულობა არა-კაცობას არა ჰნიშნავს. ბევრი ღარიბია, რომელსაც კაცური ღირსება ნებას აძლევს თამამად და სამართლიანად სთქვას: „მდიდარო, ჩამოდექი, ღარიბი მობძანდება“.

მით, რომ ხარბობამ კაცი შეიწირა, კვირანდელი დღე ახალის რისამე მომასწავებელი არ არის. აგი ვამბობთ, კაცის კაცისაგან გაწირვა ფულის გულისათვის ჩვენში შეჩვეული ჭირია და აღ ჭირს ვერ გამოვაცლით ვაითა და ვიშითა იმ ერთს გვარს წრეს, რომელსაც ფულისათვის ფეხთა ქვეშ გაუშლია ყოველი ადამიანური ღირსება და რომელიც ფულ გარედ კაცს კაცად არ ახსენებს და არ იმცნევს. კვირანდელს დღეს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ჩვენს თვალში. მან გვაუწყა, რომ ქვეყანას თავისი ყავარჯენი მარტო იმ ერთს გვარს წრეზედ არ მიუყუდებია. ის გულ-მტკივნეულობა, ის პატივი, რომლითაც ჩვენებური ხალხი მოუძღვა ეკკლესიამდე მდიდრისაგან გაწირულს ღარიბს კაცს, აქ, ჩვენში უთვის-ტომოს, და აქედამ წაასვენა საფლავის კარამდინა, ცხადი მაგალითია იმისი, რომ ყოფილა ჩვენშიაც იმისთანა ნაწილი ერისა და დიდი ნაწილიც, რომელსაც კარგი ღარიბი კაცად სწამებია და ავი მდიდარი არა-კაცად.

ეს კვირანდელი დღე უტყუარი განაჩენია, ხალხისაგან უტყვად დადგენილი, იმაზედ, რომ კაცი უნდა ჯერ კაცი იყოს და მერე თუნდა ფულიანი, თუნდა უფულო. ამ განაჩენმა სამარცხვინო დაღი დაასვა ავ-მდიდარს კარგის კაცობის სახელითა და მით კაცობა ფულიანობაზედ წინ დააყენა. თუ სამწუხარო რითიმე ეს სამართლიანი განაჩენი, მარტო იმით, რომ მინამ კაცმა სიცოცხლე არ გაიწირა საჯაროდ, მინამ ყელში წაჭერებულმა თავი არ მოიკლა ჩვენს თვალ-წინ, მინამ ადამიანის დანთხეულმა სისხლმა არ დაიღაღადა საშინელის ღაღადითა, იმ დრომდე გული არა გვტკენია, თუმცა დღე ყოველ ადამიანის გაუმაძღარს სიხარბეს ფულის შოვნისას ათასი კაცი ჩვენს თვალ-წინვე მიწასთან გაუსწორებია, ძირიანად ამოუთხრია ათასის კაცის ბედნიერება, შეცსვამს და შეუჭამია ათასის კაცის ცოლ-შვილი, პირ ქვე დაუმხია ათასის კაცის ოჯახი. სხვერპლი ამ გამუდმებულის ჭირისა, რომელსაც სიხარბე ჰქვიან, დღე ყოველ ათასია ჩვენში, დღე ყოველ ათასი კაცი ჰკვნესის ამ საზიზღარისა და შეუბრალებელის ჭირისაგან სოფლებსა, თუ ქალაქებში, მაგრამ „ბრძნოს ვისსა სმენას?“ პირ-იქით, იგი სიხარბე, ეგ ჭირთა ჭირი თავმოწონებულად და დაუსჯელად ჰფართვაშობს ჩვენში და ჭკუისა და

---

## ფელეტონი

### ისტორიული კვალი სახალხო პოეზიისა.

(ზურაბ არაგვის ერისთავი)

დასასრული*)

ზურაბმა ფშავლებსაც დიდი ვაივაგლახი და მწუხარება დააყენა. იმათი უპირველესი ხატი „ლაშარის-ჯვარი“ შეურაცხჰყო, ხატს „ბერ-მუხა“ მოუჭრა. ხალხს ჰგონია, რომ ეს მუხა ზეცას ყოფილა მიბჯენილი და ცაზედ გადაბმული ოქროს „შიბითა“, ჯაჭვით; გარდა ამისა, მუხას თავისი საკუთარი მფარველ-ანგელოზი ჰყოლია და, რადგანაც „ლაშარის-ჯვარი“ ლაშქრობის ხატია, ამიტომ იგი ანგელოზი ფშაველთა ლაშქარსაც მფარველობდა. როცა მუხა მოაჭრევინა ზურაბმა, ანგელოზი განშორდა „ლაშარის-ჯვარსაო“ და ეს ხომ დიდი უბედურება იყოვო. ამიტომაც ხალხი უკადრისის სიტყვით იხსენიებს ზურაბ ერისთავს, ძირიან-ფესვიანად ამოგდებასა და გადაშენებას უქადის ლაშარის შეურაცხყოფისათვის—

ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერ-მუხა,
წვერსება შიბი ოქროსი,
ზეცას წვდებს კიბითა,
სულ—მა ერისთვისშვილმა
ამოაბრუნა ძირითა...
მინამდე იმის მე არის,
ის ამოაგებს ჭირითა!..

ზურაბი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა „ბერ-მუხის“ მოჭრა—ცული და სხვა საჭრელი იარაღი არ ეკარებოდა წმინდა ხესაო. ბოლოს ერთმა უკანა-ფშაველმა უღალატა თავისს მამა-პაპის სალოცავს; ზურაბს ურჩია კატის სისხლი მოუსვი „ბერ-მუხას“, ანგელოზი მოშორდება და მაშინ ადვილად მოსჭრიო. ამ ღალატმა ძირს დასცა წმინდა მუხა და გააფრთხო მფარველი ანგელოზი.

ვგონებთ, ხალხის გარდმოცემა „ლაშარის-ჯვრის“ „ბერ-მუხაზედ“ მარტო ფანტაზიის ნაყოფი არაა და ღრმა აზრს შეიცავს. პირველად წმინდა „ბერ-მუხა“ თავისის ანგელოზითა და ოქროს შიბით ბევრად მოგვაგონებს ძველ ხალხების ლაშქრობის სალოცავს. თქვენც მოგეხსენებათ, რომ ძველ დროს ომი, ლაშქრობა გაღმერთებული იყო და ღვთიურს დაწესებულებას შეადგენდა. „ლაშარისაც“ ეს აზრი და ხასიათი აქვს. მეორედ «ბერ-მუხის» მოჭრა ჰღაღადებს ფშავლების ლაშქრის დამარცხებას. სჩანს, ზურაბ ერისთავს ძრიელ უჯობნია „ლაშარის-ჯვრის“ ყმებისათვის, ისე ძრიელ, რომ ლაშქრობის ტაძარიც-კი შეულახავს, ფშაველთა ლაშქრის მფარველ-ანგელოზი გაუფრთხვია. თითონ ხალხს-კი ღრმად სწამს თავისის „ლაშარის“ უძლეველობა და ჰგონია, ვითომ ღალატით აჯობეს „ბებერსა ლაშარის ჯვარსაო“... ვინ იცის, იქნება რომელმამე თემმა კიდეც უღალატა თავისს „ლაშარსა“, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ზურაბმა მაინც სძლია „ბებერ ლაშარს“. ამ „ლაშრის“ დამარცხება ხომ მთელის ფშავის დამარცხება იყო: ფშავი საერთოდ ყმაა „ლაშარისა“ და გარდა ამისა ლაშარ ბატონის დროშა ერთად-ერთი დროშა იყო, რომლის ქვეშ მთელი ლაშარი იკრიბებოდა.

ზურაბს „ლაშარის“ ჯავრი ჰკლავდა: ამ „ლაშარმა“ ს. მათურას თავში „ქვიშანი აწითლებინა“; ზედ დაუმატეთ ხევსურების გამარჯვებაცა და მაშინ გაიგებთ, თუ რა მტრობა და შური გულს უსივებდა ერისთავსა—

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა:
ზენ მთისა, ქვემოთ-ბარისა;
ხევსურეთს ჭორმეშაისა,
ფშავში ლაშარის ჯვარისა!..

ზურაბი კიდევ ისეთი თავ-მომწონე და გულ-დიდი იყო, რომ ჯავრს არავის შეარჩენდა; არც ფშავლებს შეარჩინა. ზურაბის ცხენი მთის ქერს არა სჭამდა, მაგრამ იმას მაინც „ბარით“ მოჰქონდა ქერი, ოღონდ-კი „ლაშარის“ ჯავრი ამოეყარა—

ზურაბის ცხენი ტიალი
ქერსა არა სჭამს მთისასა.
წავა და ბარით მოუტანს,
ჯავრსა არა სჭამს მტრისასა;
ეგებ ჯავრს ამოვიყრიდი
ფშავში ლაშარის ჯვრისასა!..

ამოიყარა კიდეც: „ბერ-მუხის“ მოჭრა, მფარველ-ანგელოზის გაფრთხობა გვიჩვენებს, რომ ულმობელმა მტერობა დაარბია ფშავი, „ლაშარის“ ძალა შემუსრა...

ვინ იცის როგორ და რით გათავდებოდა ეს საშინელი სისხლის ღვრა, ბედს რომ არ ემუშავნა ფშავ-ხევსურეთის სასარგებლოდ: მეფე თეიმურაზ პირველმა მოჰკლა თავისი სიძე ზურაბი. რათა?—„ბატონს თეიმურაზს აქვნდა შური ზურაბ ერისთავისა, ოდეს მოჰკლა სვიმონ და ვინადგან განდიდნაცა ფრიად; ამისთვის უდგა ღალატად მარადის; შემდგომად ზამთარს მდგომმან სეფურცლეს იცა ქამი და მოჰკლა ზურაბ“, ასე ამბობს მატიანე და ამის მეტსაც არას ამბობს ზურაბის სიკვდილზედ.

შიშმა და შურმა აიძულა მეფე თეიმურაზ ზურაბის მოსაკვლელად. ჯერ ისევ თავისის სიძის გიორგი სააკაძის დროს ზურაბი მეტად ძლიერი და გავლენიანი ერისთავი იყო და დიდის მოურავის სიკვდილის შემდეგ ხომ არაგვის ერისთავის გავლენას საზღვარი აღარა ჰქონდა. თეიმურაზი კარგად ჰხედავდა ყველაფერს ამას, ამიტომაც თავისი ასული დარეჯანი მიათხოვა ზურაბს—იქნება სიძის შეწევნით ქართლ-კახეთის ტახტზედ ავიდეო. ცოტა ხნით შეისრულა კიდეც გულის წადილი, მაგრამ სიძესა და სიმამრს მალე მოუხდათ შუღლი და დაუდგრომელი ზურაბი ისევ სვიმონ მეფეს მიემხრო. უძლურს, ღონე-მიხდილს სვიმონ მეფეს ისე ესიამოვნა ეს მოწყალება და სარჩლი, რომ ზურაბ ერისთავს თავისს „მამად“ უწოდებდა! რა მწარედ სცდებოდა საბრალო მეფე! „ძალად მამამ“ მალე მოჰკვეთა მას თავი და ფეშქაშად სიმამრს გაუგზავნა!.. ამის შემდეგ, აბა ერთი მიბძანეთ, რაღა ნდობა და გუ-

*) იხ. „ივერია“ № 238.

მხნეობის სახელით ყურებს უშენდავს გამვლელსა და გამომვლელსა. დიაღ, ამოდენად ჰთამამობს და ურცხვობს კიდეც, რომ შზგუისა და მხნეობის სახელს იჩემებს! კვირანდელმა დღემ ბევრს უნდა აუხილოს თვალები, თუ საუკუნოდ თვალის ჩინი არ გაჰქრობიათ, და იგი რაც ჰნახეს, გულში უნდა ჩაირჩინონ და სთქვან: სჯობნებია ცოტა მქონდეს და კარგი ვიყო, ვიდრე ბევრი და ავი ვიყო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნაკი „დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილებს“, ბ-ნის ივ. კაციტაძისა, გამოცემული ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ. როგორც სათაურიდგანა სჩანს, წიგნი მეტად საყურადღებო საგანს ეხება და იქ, სადაც სოფლის ყმაწვილები მოკლებულნი არიან რიგიანსა და ჰიგიენურს მოვლასა და ზრუნვას, სადაც ექიმი და აფთიაქი იშვიათია, იქ ამ გვარი წიგნი მეტად სასარგებლო იქნება. წიგნი შეიცავს რამდენსამე დარიგებას: 1) როგორს უნდა აწოვონ ძუძუ დედებმა თავისს ყმაწვილებს; 2) როგორ და რა უნდა აჭამონ ძუძუ-მწოვ ყმაწვილებს; 3) როგორ უნდა გადააჩვიონ ყმაწვილი ძუძუს წოვას; 4) ძუძუ-მწოვ ყმაწვილების შესახებ და 5) როგორ სისუფთავეში უნდა ჰყავდეთ ბავშვი. როგორც ამ სათაურებიდგანა სჩანს, მკითხველი ამ წიგნში იპოვის სხვა-და-სხვა საჭირო ცნობებს ბავშვის მოვლის შესახებ. წიგნი საკმაოდ გასაგებ ენით არის დაწერილი, ხოლო აქა-იქ შეხვდებით მოუხერხებელს ფრაზას. მაგალითად: «ავადმყოფობის დროს ძუძუს მოშორება უნდა შეაჩერონ (გვერდ 16). ეს ფრაზა არც ქართულია და მძიმე გასაგებიც არის. ავტორს უნდა ეთქვა: ავადმყოფობის დროს ძუძუ არ უნდა გააშვებინონ და ან ძუძუს არ უნდა მოაშორონო. მეათე გვერდზე ვკითხულობთ: „აგრეთვე მართლად ვერ ჰფიქრობენ ზოგიერთნი, რომ ვითომც ვინც მაგრად გაძღება, ის უფრო მაგარიც გამოვა და კარგადაც იქნებაო“. ეს აზრი შესაძლო იყო ავტორს უფრო ქართულად და გასაგებად გადაეცა მკითხველისათვის. ამ შეცდომათა მიუხედავად წიგნი ადვილი და გასაგები წასაკითხია და ამიტომ ვისურვოთ იმისი გავრცელება ჩვენს ოჯახებში. ეს წიგნაკი ჰღირს ერთი შაური.

*** ტფილისის საზოგადოებას ამ ჟამად ბევრი გასართობი აქვს: ოპერის თეატრი, დრამატიული თეატრი, ცირკი, ათას გვარი მუზეიები (ეხლახან ჩამოვიდა კიდევ ახალი მუზეი ვინტერისა) და სხვანი, მაგრამ არც ერთს ისე არა სწყალობს, როგორც ცირკს. მაგალითებრ, გუშინ-წინ, ორშაბათს, ბანკის თეატრში დანიშნული იყო მუსიკის დირიჟორის ბ-ნ პავლოვსკის ბენეფისი და ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. წარმოადგინეს „ტყის ყაჩაღი“. ამ ფეერიას შემდეგ დივერტისმენტი იყო გამართული, რომელშიაც თავი იჩინა უშკანოვმა თავისის რუსულის გლეხურის სიმღერებითა და ლილინმა ანეკდოტების მოთხრობით. ლილინს ალარ მოეშვნენ და ტაშის ცემით რამდენჯერმე გამოიწვიეს. უკანასკნელად გამოსვლისას ბ-ნმა ლილინმა შემდეგი ანეკდოტი სთქვა ექსპრომტად: ერთი სომეხი ჩამოვიდა ტფილისში და რკინის გზის სადგურზედ მეორე სომეხი მიეგება. როცა მოდიოდნენ, გზაზე წვიმა ოდნავ სწვეთავდა და ჰნამავდა დედამიწას. ახალმა ჩამოსულმა იკითხა: „ეს როგორ არის, რომ ამოდენა ქალაქია და ასეთი წვრილი წვიმა-კი მოდისო?“ აქაურმა უპასუხა: „ჩვენს ტფილისში ყველაფერი გაუკულმართებულია. მაგალითებრ, ტფილისში არსებობს დრამატიული თეატრი, იქ რომ შეიხედო, ძალიან ცოტა ხალხია, მაგრამ ალიაქოთი და ტაშის-ცემა-კი დიდიო“.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამ დღეებში ქაღალდი მოსვლია რუსეთის საიმპერატორო-საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან, რომ «წერა-კითხვის საზოგადოებამ» დროებით ათხოვოს წიგნი „სიბრძნე ბალავარისა“, რადგან ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვისაო. მეცნიერები ჰფიქრობდნენ, რომ ასეთი წიგნი უნდა იყოს ქართულს ენაზეო, მაგრამ ნახვით-კი აქამდე არავის ენახა.

დღეს „წერა-კითხვის“ წიგნთ-საცავში ორი ვარიანტია ამ წიგნისა, ერთი დაფქეიევის შემოწირული და მეორე მღ. მელითაურისა. ხოლო „საარქეოლოგიო საზოგადოებას“ ცნობები შეუკრებია, რომ უნდა იყოს სხვა ვარიანტებიც, სახელდობრ, ეს ვარიანტები უნდა ჰქონდეთ: ალავერდის ბერს მამა სიმონ გძელიშვილს და მემკვიდრეებს იოანე ბერძნეოვისას, რომელიც ამ ორის წლის წინად გარდაიცვალა სოფელს დიღომში.

ხსენებული საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს, როგორც აქ დასახელებულთ, აგრეთვე სხვათაც, ვისაც-კი ეს წიგნი მოეპოვება, არ დაუჭირონ და გაუგზავნონ განსახილველად. განხილვის შემდეგ წიგნი პატრონსვე დაუბრუნდება. ამასთანავე ყოველს გვარს ხარჯს გასაგზავნ-გამოსაგზავნისას «საზოგადოება» თითონ კისრულობს.

თუ ვისმე გაუძნელდება წიგნის გაგზავნა პირდაპირ პეტერბურგს საარქეოლოგიო საზოგადოების სახელობაზე, შეუძლიანთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას მოჰმართონ და ეს იკისრებს გაგზავნას.

*** ბუღაური: ოქტომბრის 31-დგან დაიწყო აქ თოვლვა და იმავ დღესვე შეიკრა გზები, თოვლი ალაგ-ალაგ ორ არშინამდე დასდო. მაღალ მთებიდამ ზვავებიც წამოვიდა და გზებზედ ჩაწვა. ამისთანა დიდმა თოვლმა ძალიან შეაწუხა აქაურებიცა და მიმსვლელ-მომსვლელნიც. აქაურებს ზოგს ჯერ ქერი სულ არა მოუვიდათ-რა და რაც მოუვიდათ, ისიც გასალეწი ქვეშ მოიმწყვდია თოვლმა. ამის გარდა გზის საკეთებლად არიან გამოსულნი და სცდებიან თავიანთს სახლ-კარსა. მგზავრები არიან-და, სამ-სამი და ოთხ-ოთხი დღე სხედან ფოსტის სადგურებში, ერთი-სამად ძვირად უჯდებათ თავის გამოკვება. გზა მალე გაწმინდეს პირველადვე, მაგრამ ღამ-ღამობით ამოვარდებოდა ძრიელი ჩრდილოეთის ქარი და დილამდე გაწმენდილს გზას ისევ წაჰბუქავდა ხოლმე.

8 ნოემბერს ამოვარდა ერთი საშინელი ქარი, რომელმაც გაწმენდილი გზა დილამდე ხელ-მეორედ გადაჰგვალა. იმ ღამეს შეუძლებელი იყო ბუქისაგან სიარული გზაზედ.

*** სოფ. ახატელიდგან გვწერენ: სოფელ ახატელში, თელავის მაზრაში, სცხოვრებს ერთი საკვირველი მოლა, რომელიც ვითომც ექიმობს, მაგრამ იმისს ექიმობას ორ-ნაირი მნიშვნელობა აქვს: ერთი სულიერი და მეორე ხორციელი. სულიერად ლოცვით არჩენს და ხორციელად როცა უნდა მორჩენა მაგალითებრ დედაკაცისა, სთხოვს, ამაღამ ჩემთან უნდა დარჩეო, რომ კუჭზე «ბეჭედი» დავკრაო. იგი ბეჭედი ამ მოლას თვით მაჰმადისაგანა აქვს თურმე ნაბოძები და საექიმოსაც ხუთს თუმანზე ნაკლებ არ იღებს. საკვირველია, რომ ამ საოცარ ექიმოლას ყურადღებას არ აქცევენ არც ადგილობრივი პოლიცია და არც მაზრის ექიმი, რომელიც უნდა სდევნიდეს ამ «კუჭის» ექიმებს.

*** თელავის მაზრაში, სოფ. მელდაგხაში ერთს ყმაწვილს კაცს, ბ-ნს კირილე ანდრიაშვილს, თავისის მამის ძველ ხელთ-ნაწერ წიგნებში უპოვნია საქართველოს ისტორია. წიგნი ისე მშვენიერად და ლამაზად არის დაწერილი, თითქო ლიტოგრაფიით იყოს დაბეჭდილიო. კარგი იქნება, რომ ეს ისტორია და სხვა ხელთ-ნაწერები ბ-ნმა ანდრიაშვილმა არ დაუკარგოს ქართველობას და შესწიროს ჩვენს „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

*** თიანეთიდამ გვწერენ, რომ იქ ერთს ადლზე მოსულა თოვლი. მცხოვრებნი უდროოდ თოვლის მოსვლით ძლიერ შეწუხებულნი არიან. მთის ხალხი, რომელიც დაამწყვდია ამ თოვლმა, გაფაციცებით მიერეკება ცხვარსა და ძროხას ბარისაკენაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ბათუმი. სწორედ რომ გახრიოკდა ბათუმი. ინტელიგენციას რომ ეძახიან, იმის ნატამალიც აღარ არის აქ. სხვებთან უკაცრავადა ვართ, მე ქართველებზე მოგახსენებთ, როგორც მოამბე ქართულის გაზეთისა. სამიოთხი კაცი-კი მოიძებნება, რომლებიც შესაძლოა კაცმა, დიდის გაჭირებით, ინტელიგენტებად ჩასთვალოს, მაგრამ ესენიც მთელს თავისს დროსა და მოცალეობას ანდობენ უსაფუძვლო წვრილმანობას, უხეირო ლაქბობასა და უთავ-ბოლო ყიალს. აქ ძალა-უნებურად მაგონდება ერთი ძველი, მაგრამ ჩვენთვის მაინც ახალი მოძღვრება: დრო სუსხავს მართლა ასე ადამიანის ცხოვრებას, თუ თვით ადამიანი უთხრის თავისს თავს სამარეს, თვით ისუსხება, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, დრო ჰბადავს და განაგებს ცხოვრებას, თუ კერძო კაცი? „დრო“ მხოლოდ განყენებული აზრია და სხვა არაფერი. ბატონო, დრო რა შუაშია, როდესაც ამ სამის წლის წინად ბათუმის ქართველობას სიცხოველე, მოძრაობა ეტყობოდა. აქ წარმოდგენა, იქ ბაასი ჩვენს ავ-კარგიანობაზე და სხ. ეს ის დრო იყო, როდესაც ბათუმში რამდენიმე მხნე და გონიერი ქართველი კაცი და ქალი მოიძებნებოდა შეჰხედეთ დღეს ჩვენს ქართველობასაცა და სხვებსაც. როდესაც აქაურს სომხობასა და ბერძნებს თავიანთი საკუთარი პირველ დასაწყისი სკოლები დაუარსებიათ თავიანთისავე ხარჯით, ჩვენში არც ერთი ქართველი არა ჰზრუნავს არამც თუ ამ გვარისავე სკოლის დაარსებას, არამედ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ სკოლასაც ზურგს უქცევენ. სად არის აქ ინტელიგენცია, რომელიც ამ გვარს საქმეებში ყო-

---

ლი ექნებოდა თეიმურაზს თავისს სიძეზედ?!

სახალხო ლექსებში ვრცლად არის ნაამბობი, როგორც მოჰკლეს ზურაბი. სიმამრმა თავისი სიძე საფურცლეს მიიწვია, ნადიმობა გაუმართა, კარგად აქეიფა, მუსიკით მოხიბლა და როცა დააძინა, სხვებს მოაკვლევინა მტერი—

ახლა გიბარებს სიმამრი—
მოდი, საფურცლეს მნახეო.
ადგა, წავიდა ზურაბი
მორთული თავის ყმითაო;
წამაეგებნეს ზურაბსა—
„მოგვიხვედ მშვიდობითაო“...
ხილი მიართვეს ზურაბსა—
„ზურაბ, შეჭამ ხილსაო“...
ჯერ სვა და ჭამა ზურაბმა,
მერმე პირი წაჰყუო ლხინსაო;
დაადგეს მეჩანგენი[1]),
დააძინებენ ძილსაო;
მოუსხდნენ მოღალატენი
ახლოსა, ყურის პირსაო...

რადგანაც ზურაბი მძლავრი ვაჟკაცი იყო, ღონიერის მკლავის პატრონი, მძინარესაც ვერ ენდვნენ: ხმლის ვადა მაგარის ძაფით ქარქაშზედ მიუბეს, გაცოფებულმა ხელი არ ავლოს მახვილსა და არ დაგვხოცოსო; დაჭრილს ლომ-კაცს გამოეღვიძა; ხელი იკრა ხმალს, ვადა კიდეც დაჰგლიჯა, მაგრამ გვიან-ღა იყო:

ზურაბმ ჭირთ-გაცოფებულმა
ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი;
ვაი თქვენს ზურაბს, ფშაველებო,
მაგ დაუხვევავ მაგარი!...

ზურაბი მოჰკლეს... თუმცა ვაჟკაცთა წესი და რიგი-კი არაა ქება-დიდებით იხსენიებოდეს მტრის ღალატით მკვლელი, მაგრამ სახალხო ლექსი მაინც დიდად ამკობს ელუმ თულუმიშვილს; ვინ იცის, იქნება ზურაბის ძილში მოკვლაც-კი ძნელად გასაბედი საქმე იყო, რომ ელუმს ასე ამკობს ლექსი:

ელუმო თულუმიშვილო,
ვეფხვი ხარ, გულის კანჯარი!
შენ მაჰკალ ერისთვის შვილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.

მარტო თულუმიშვილს არა ჰრგებია ხვედრად ეს „ვეფხვ-კანჯრობა“, სხვებსაც წილი ჰქონიათ: თუშთა მოურავს, ბატონს ბარამს[2]), ბექან ყორჩიბაშიძეს, საგინაშვილს... მტრის მოკვლის შემდეგ ზურაბის ტანსაცმელი და იარაღი ამათ გაუყვიათ—

ხმლითა ჭსცა თუშთ მოურავმა,
დაჰკარით კახპის შვილსაო;
ხანჯარ ჰკრა ყორჩიბაშიძემ
ზეყანმა გულის პირსაო.
თუშთ მოურავსა უბოძეთ
ზურაბის ცხენი საღარი[3]);
ტყავ კაბა საგინაშვილსა,
ქუდი ვათაღრის მაღალი;
ბარამ ბატონსა შაჰხვდება[4])
ზურაბის ქამარ-ხანჯარი...

რასაკვირველია, მთას სასიამოვნოდ დარჩა თავისის მტარვალის მოკვლა. ფშავ-ხევსურეთმა მოისვენა. ხალხის სიხარული პირდაპირ იხატება ლექსში:

გაგზავნეთ მახარობელი,
ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მაკლეს ზურაბი,
ძილ დააძინეს მაგარი...
ფშაველ-ხევსურთა უთხარით:
წელთით დაიხსნან აბჯარი,
ფშაველ-ხევსურთა ქალ-რძალმა
ძილ დაიძინონ მაგარი!

მართალია, „ფშაველ - ხევსურთა ქალ-რძალი“ მოსვენებით ძილს მიეცა, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში იყო ზურაბის დედა. საბრალოს გული უკვდებოდა შვილის სიკვდილის გამო. დედა ქვითინებდა და მწარედ ასე მოსთქვამდა—

ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო,
ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლისა, არაგვისაო[5])?
აღარვინ მეგულებოდა
მამრევი ზურაბისაო!..

მაგრამ ზურაბის მომრევიც გამოჩნდა და ეს მომრევი ბრძანდებოდა თეიმურაზ მეფე.

არც უდროოდ დაქვრივებული დარეჯანი, ზურაბის ცოლი, იყო უკეთესს მდგომარეობაში. ისიც ცხარე ცრემლით სტიროდა და დედას სწყევლიდა:

ჩემიმც დღე დაგადგებაო,
ამ ჩემის ღალატისად
თემურაზ მოგიკვდებაო...

რასაკვირველია, წყევლა წყევლად დარჩა და თეიმურაზი არა თუ არ მოკვდა არამედ „შევიდა დუშეთს, წარმოიყვანა ასული თვისი და მისცა ცოლად იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს მზითვითა დიდითა“. დარეჯანს არ მოსწონს იმერეთში გათხოვება; დაცინვა და უკმაყოფილობა ისმის შემდეგს ლექსში:

იმერეთს რად გამათხოვე,
თემურაზ, ჩემო მამაო;
ჭამა მამწყინდა ღომისა,
ვაჭმე კასურო ყანაო!..

იმერელთ ღომი და გემრიელი კახური პური აქ არაფერს შუაშია; კახურს პურს იმერეთშიაც საკმაოდ უშოვნიდნენ მეფის რძალს, მაგრამ პირველის ქმრის «ქართლის თაობა»-კი ძნელად საშოვნელი იყო... ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზურაბი სახელოვანი ვაჟკაცი იყო და ქალის გულს ხომ ასე ძრიელ იზიდავს ვაჟკაცობა... დიაღ, სახელოვანი ვაჟკაცი იყო ზურაბი, მაგრამ სულ სისხლის ღვრასა და მახვილის ხმარებას მოანდომა მთელი თავისი სიცოცხლე. ამ მახვილმა თან გადაიტანა იგი და სისხლმაც სისხლი იმსხვერპლა. მარტო ცოლსა და დედას დაესანათ ზურაბი, სხვას არავის... და ის რად!..

ნ. ურბნელი

---

[1]) მოჩანგე, მემუსიკე.

[2]) ვგონებთ, ჩოლაყაშვილს—
„შეარტყით ჩოლაყაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი“...
თუშთა და ფშავ-ხევსურთა მოურაობა უმეტეს ნაწილად ჩოლაყაშვილთა გვარს ჰქონდა ჩაბარებული. თვით ეს გვარი უწარჩინებულესი იყო, მაღლა იდგა სხვა გვარებზედ. ჩოლაყაშვილნი ძველად უბრალო თავადნიკი არ იყვნენ, არამედ მთავარნი...

[3]) ისეთი ცხენია, რომელსაც თეთრი ნიში აქვს შუბლზედ.

[4]) მოუხდება.

[5]) მართლაც-და, როცა ქაიხოსრო, ვახტანგ მუხრან-ბატონის შვილი, დიდმა მოურავმა და ზურაბმა ქართლის გამგებლად დასვეს, მთელი ქართლი მოურავს „ყმურად ჰმორჩილებდა“. მოურავის სიკვდილს შემდეგ ზურაბს მოცილე აღარავინ ჰყავდა და სწორედ მაშინ ხელთ დაიპყრა „ქართლის თაობა“. გამგებელი ქაიხოსრო და თვით ქართლიც „ყმურად ჰმორჩილებდნენ“ განდიდებულს არაგვის ერისთავსა.

ველთვის მეთაური უნდა იყოს? რა უნდა ეთქვას იმ პროვინციელ ხალხს, რომელიც იმისთანა საზოგადოებრივს დაწესებულებას, როგორიც არის „საზოგადოების“ სკოლა ბათუმისა, მასწავლებელის საკუთრებადა ჰრაცხს, თითქო იმისი ნამზითევი რამ იყოს!? ყოველივე ეს იმითი აიხსნება, რომ აქაურობას მოწინავე, მეთაური ხალხი არა ჰყავს დღეს. სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, რომ აქაურის ქართულის სკოლის სამზრუნველოს წევრები არც ერთხელ არა ყოფილან სკოლაში, რომ ენახათ, რას აკეთებს სკოლა, რა ეჭირება და სხ.

—

ქალაქის ამბებიც ასე უფერულად მეჩვენება, თუნდა დამძრახეთ ამაზე. აი შეიხედეთ ახლად დაარსებულს თვითმმართველობაში. სხვას ყველას თავს დავანებებ, რადგანაც ჯერ ახალი დაწესებულებაა, და მხოლოდ იმაზე მივაქცევ თქვენ ყურადღებას, რომ ზოგიერთი ხმოსნები მეტად ახირებული და უცნაური ხალხია. მათ მიერ წარმოთქმულის სიტყვების გასარჩევადა და გასაგებად საწყალს ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელს ცალკე კომისია სჭირდება. მაჰმადიან ქართველების წარმომადგენელნი საბჭოში თხოულობენ ისეთს კაცს, რომ მათ გვერდით იჯდეს და უხსნიდეს ხმოსნების გაუგებარს სიტყვებს, მაგრამ ვინ იკისრებს ასეთს უმადურს მოვალეობას.

ქალაქის თავი ძალიან ჰზრუნავს, როგორც სჩანს იმ საქმეებიდგან, რომელნიც საბჭოს ენიშნება განსახილველად. სხვათა შორის ერთი საყურადღებო საქმე ამოვიკითხეთ მორიგ საქმეთა სიიდგან: ბათუმის საქალაქო სამკურნალო უნდა მოეწყოს ისე, როგორც სხვა ქალაქებშია მოწყობილიო. დღევანდელი „пріемный покой“ ქალაქისა ისეთს ყოფაშია, რომ ვისაც თავის მოკვლა უნდა, იქ უნდა დაწვეს: ისე გაფიჩხდება, როგორც ბელურა ზამთრის დიდს ყინვებში.

დროებით ჩამოსული ბათუმში

---

**კავკავი**, 10 ნოემბერი. დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, დაარსდა პირველი ქართული სკოლა კავკავში.

რასაკვირველია, ეს სასიამოვნო და ყოვლად საამური ამბავი უნდა მომხდარიყო საეროდ და არა საიდუმლოდ, ისე რომ ყველას დაენახა ქართველების ბედნიერება. ამის გულისათვის სკოლის დამაარსებლებმა მოიწვიეს 25 საპატიო კაცი, სახელდობრ თერგის მხრის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელი გენერალი შეპელიოვი თანაშემწით, ეპისკოპოზი იოსები, ქალაქის თავი, წევრნი გამგეობისანი მდივნითურთ, ყოველ სასწავლებლის დირექტორები და ინსპექტორები, და სხვანი.

ათს ამ თთვისას საქართველოს მფარველის წმინდა გიორგის დღეობას შეიყარნენ ყველანი, ვინც იყვნენ მოწვეულნი, ოთხ-ხუთ კაცს გარდა, რომელთაც ავადმყოფობის გამო ვერ შეეძლოთ მოსვლა. იმავე ვადაზე სკოლაში გამოცხადდა 24 შეგირდი, პატარა ლამაზი ბიჭები. როდესაც მობრძანდა გენერალი შეპელიოვი, სკოლის დამაარსებელთა თავს-მჯდომარემ ბ-ნმა მ. ყიფიანმა მოწვეულს სტუმრებს მოკლედ მოახსენა მიზეზი ქართულის სკოლის დაარსებისა:

„დაღესტნისა და ჩაჩნის დაპყრობის შემდგომ თითო ოროლა კომლობით გადმოსახლდნენ ქართველები დუშეთიდგან, გორიდგანა და სხვა ახლო-მახლო ადგილებიდგან ასე, რომ ამ ჟამად ირიცხება თითქმის ორას კომლამდინ. მომეტებული წილი მათ შორის ღარიბია და არა აქვს ღონისძიება შვილების გამოზრდისა რუსულს სასწავლებლებში ამას გარდა თავის დედა-ენაში ვარჯიშსაც მოკლებულნი არიან. ვისაც-კი აქვს შეძლება და მიაბარებს შვილს რუსულს სკოლაში, იმათაც უჭირთ სწავლა უცხო ენისა, რადგანაც ოსტატსა და შეგირდს ერთმანეთისა არა ესმისთ-რა. ბევრი ქართველი ბავშვი, მოღალული და მოქანცული ამ უწესო სწავლით, ან თავდაპირველშივე ანებებს სკოლას თავს, ან თუ პირველად შესძლო, ბოლოს ველარ ატანს და რჩება სწავლა შეუსრულებელი. ყველამ კარგად ვიცით და უწარჩინებულესი მსწავლულნიც გვასმენენ, რომ თავისს საკუთარს ენაზედ ნასწავლი ყმაწვილი კაცი იქამდისინ ღონიერი და მომზადებულია, რომ უცხო ენის ზედმიწევნით სწავლა მერე აღარ უჭირდება. ამის მიზეზით აქ მცხოვრებმა ქართველებმა მიუცილებელ საჭიროებად დაინახეს საკუთარის სკოლის დაარსება. იქამდისინ ძლიერი იყო ეს სურვილი სკოლის დაარსებისა, რომ სრულებით მოკლე ხანში მოაგროვეს იმდენი ფული, რაც დასჭირდებოდა ამ საქმესაო.

„ახლა, როდესაც ყოველისფერი მზად არის, ეხსნით ამ სკოლასა და დამაარსებელნი მისნი გთხოვთ, ბატონებო, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს ბედნიერებაში და დაგვილოცოთ სკოლაო“.

შემდგომ დეკანოზმა იოილ სამადაშვილმა მიჰმართა სკოლის დამაარსებელს ქართველებსა და წარმოსთქვა სიტყვა, გადაიხადა პარაკლისი და აიაზმის წყლით ასხურა სკოლისათვის დაქირავებული სახლი.

შეგირდებს დაურიგეს ხილი და კანფეტები და სტუმრები მიიწვიეს სამოქალაქო კლუბში სადილად.

სადილი ჰქონდათ ნამდვილი ქართული, ე. ი. სხვა-და-სხვა ნაირ საუზმეებსა და სასმელებს გარდა, რომელითაც სავსე იყო სტოლი, მოიტანეს დოში, ჩიხირთმა, ფლავი, სუკი მთლად, შემწვარი კაკბები და ხილი.

მოვიდა თუ არა გენერალი შეპელიოვი, მუსიკამ დაუკრა დობუში (მარში). ოთხ-ხუთ ჭიქა კახურს შემდეგ ეს ოფიციალური სადილი გადაიქცა საოჯახო და საერთო ლხინად.

გენერალმა შეპელიოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, მოიხსენია საქართველოს ერთგულება და დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. მუსიკამ დაუკრა საერო საგალობელი «ღმერთო, ჰფარევდე მეფესა»... შემდეგ წყობილის ხმით თქმულმა «მრავალ ჟამიერმა» დაატკბო ყურთა სმენა. ბევრი სადღეგრძელო დაილია და ბევრი ტკბილი სიტყვა ითქვა ამ მხიარულს სუფრაზე. მამა-პაპურის ლეკურითა და ხვევნა-კოცნით გათავდა სადილი თითქმის 10 საათზე. ასე ღირსეულად გადაიხადეს ქართველებმა პირველის ქართულის სკოლის დაარსება კავკავში. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

სხვათა შორის სადილზე წარმოსთქვა სიტყვა ქართულს სკოლაში სამღვთო წერილის მასწავლებელმა ნ. ფ—ძემ. ქართულის სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ბედელაძემ მესტვირული ლექსი სთქვა.

◆◆

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** 2 ნოემბერს პარიჟში იდღესასწაულეს პასტერის ინსტიტუტის დაარსების დღე. ამ დღესასწაულს დაესწრნენ: პრეზიდენტი რესპუბლიკისა და მრავალნი წარმომადგენელნი მეცნიერებისა და პოლიტიკისანი. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა იმ აზრით, რომ გამოერკვიათ საგანი და ისტორია ამ დაწესებულებისა. უკვდავთა აკადემიის უცვლელმა სეკრეტარმა ბერტრანმა მიჰმართა პასტერს და უთხრა შემდეგი:

„40 წელიწადია აქებენ და ადიდებენ თქვენს სახელს; 40 წელიწადია დაფნის გვირგვინს გვირგვინზე გადგმენ, თუმცა თქვენ თითონ არ ეძებთ არც ქებასა და არც დიდებას. მრავალია გზა, რომელზედაც ეძებენ დიდებას, თქვენ-კი მხოლოდ ერთი გზა აგირჩევიათ—გზა ჭეშმარიტებისა. აქაც შესაძლოა მოხვეჭა სახელისა, როგორც ყველგან სხვაგანაც. ამისი საბუთი თქვენა ბრძანდებით. ნოემბრის მეორე რიცხვი 1888 წლისა უკვდავი იქნება მკურნალობის მატიანეში. ნება მიბოძეთ ორის წუთით ძველი დრო მოვიგონო, ის დრო, როცა ის-ის იყო დაიწყეთ თქვენი მოღვაწეობა. სწავლულები რომ თქვენს პირველს ნაბიჯის გადადგმას უყურებდნენ, გაკვირვებულნი და განცვიფრებულნი იყვნენ. მხოლოდ თითო-ოროლა მათგანი მიხვდა, რა მოელოდა თქვენს შრომას. იმათი სახელი და დიდება მით უფრო შარავანდედით იფინება, რომ მფარველობა გაგიწიეს მაშინ. მე აქ არ ჩამოვთვლი იმ თქვენს თხზულებებსა, რომელსაც აღტაცებით იხსენიებდნენ სახელოვანნი მეცნიერნი და თქვენი მასწავლებელნი. თქვენი ამხანაგებიც-კი ბევრს რასმე მოელოდნენ თქვენგან. 1847 წელს ვერდე ამბობდა, რომ ჩემი მეგობარი პასტერი დიდს საქმეს იზამს შემდეგშიო. ისეთის საგნების გადაწყვეტას ეტანება, რის გადაწყვეტაც შეუძლებელიაო. ეხლა-კი ყველანი ეხედავთ, რომ რაც გადაუწყვეტელი გეგონა, თქვენ გადასწყვიტეთ. დღეს იმიტომ შევიკრიბენით აქ, რომ მადლობა გადაგიხადოთ მთელის კაცობრიობის სახელითა, იმიტომ-რომ ვიხარებდეთ მეცნიერების სახელითა და თავი მოვიწონოთ საფრანგეთის სახელითა“.

შემდეგ ილაპარაკა კრისტოფლმა. უამბო კრებას ისტორია ინსტიტუტის დაარსებისა და სთქვა, რომ პასტერის აზრმა ინსტიტუტის დაარსებისამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ყველგან და ამ თანაგრძნობის მეოხებით განხორციელებულ იქმნა იგი აზრიო. ხუროთ-მოძღვრებმა პტიმ და ბრებანმა თავის შრომის ფასად არა აიღეს-რა და უსასყიდლოდ შეადგინეს გეგმა შენობისა. იჯარადრებმა სულ იაფად გვიანგარიშეს მასალა; კალატოზები ორშაბათობითაც-კი მუშაობდნენ, რა მოხდა განა საიმისო? რამ შესცვალა ასე ჩვეულებანი? რამა და აღტაცებამ, რომელმაც გადაჰხვია ხელი გულ-კეთილობას და აი, ეს ორნი შეუდგნენ ძმურად საქმეს. მოიარეს საფრანგეთი. გადაეიდნენ სამზღვარ-გარედაც-კი და ატყობინებდნენ ყველას კეთილს ამბავს. «ვურჩევ ყველასაო,—განაგრძო შემდეგ ორატორმა:—ვინც-კი კაცობრიობაში ცუდის მეტს არასა ჰხედავს, ვინც-კი ამბობს, რომ ყოველივე ბოროტებისაკენ მიიზიდება ამ უმადურს წუთი-სოფელშიო, რომ კაცთა შორის არ არის თავ-განწირულებაო,—ვურჩევ გადაათვალიერონ პასტერის ინსტიტუტის ქაღალდები. იქ ჰნახავთ, რომ აკადემიებში ისეთები არიან, რომელთაც კი არა სწყინთ თავიანთ ამხანაგის სიკეთე და დიდება, არამედ უხარიანთ და თავი მოსწონთ კიდეც, რომ ასეთი სახელოვანი კაცი გვყავსო; იქ ჰნახავთ, რომ პოლიტიკისა და მწერლობის კაცნიც დიდის აღტაცებით ეგებებიან სიკეთესა და ჭეშმარიტებას, რომ ფრანგებს ასე არას დროს არ უციათ პატივი თავიანთ დიდებულ კაცთათვის, როგორც ეხლა: თითქმის სიცოცხლეშივე ძეგლს უგებენ. მოიგონეთ ვიქტორ ჰიუგოს იუბილეი, შევრელისა და დღეს კიდევ ამ ინსტიტუტის დაარსებას შეჰხედეთ».

ხელის მოწერით შეგროვდა ინსტიტუტის სასარგებლოდ 2.586,680 ფრანკი. აქედამ 43,000 მხოლოდ ელზასმა შემოსწირა.

შემდეგ გრანშემ ილაპარაკა და მას უკან პასტერის შვილმა წაიკითხა თავისის მამის სახელით ვრცელი სიტყვა. ამ სიტყვაში ლაპარაკია ჯერ იმაზე, რომ საფრანგეთი არას არ იშურებდა განათლების საქმისათვის; რომ მრავლად დაარსდა პირველ დასაწყისი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელნიო. მართალია, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა უმცირესობას ხვდება წილად, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ უმცირესობაზეა დამყარებული კეთილდღეობა, დიდება და ბოლოს ძლიერება ერისაო. მერე მადლობით არიან მოხსენებულნი ისინი, ვინც ფული არ დაიშურა და შესწირა ინსტიტუტს. შემდეგ პასტერი მწუხარებით იხსენიებს იმ დიდს მსწავლულებს და თავისს მასწავლებლებს, რომელნიც უკვე გარდაცვლილან. მერე თავისს შრომასა და მოღვაწეობაზე ლაპარაკობს და ბოლოს ამბობს: „როცა დიდის ხნის გაჭირების შემდეგ გაიგებ ბოლოს ჭეშმარიტებას, ეძლევა განუსაზღვრელს აღტაცებას, რომელიც მით უფრო ძლიერდება, რომ დიდება ემატება შენს სამშობლოს. მართალია, მეცნიერებამ სამშობლო არ იცის, მაგრამ მეცნიერს-კი უნდა ჰქონდეს სამშობლო და მოვალეა ამ სამშობლოს ჰმადლობდეს, თუ თავისის მოღვაწეობით შეჰმატა რამე მეცნიერებასა და ქვეყანას. ქვეყანაზე ორი სჯული იბრძვის ერთმანეთში: ერთია სჯული სისხლისა და სიკვდილისა და მეორეა—მშვიდობისა, შრომისა და სიკეთისა. ერთი უბედურებას უქადის ადამიანს, მეორე სცდილობს დაიხსნას ამ უბედურებისაგან. რომელი გაიმარჯვებს—ღმერთმა უწყის. ხოლო ამის თქმა-კი შევიძლიან, რომ საფრანგეთის მეცნიერება ეცდება გაახანიეროს და დღეგრძელ ჰყოს სიცოცხლეო.

◆◆

# წვრილი ამბები

ოსმალეთში ამ ჟამად 15-მდე სომხური გაზეთი და ჟურნალი აღუკრძალავთ.

— უკვე პროექტი დაუწერიათ საფრანგეთში, რომ ყმაწვილებსა და ბავშვებს აღუკრძალოთ თამბაქოს წევაო. პარიჟში თამბაქოს წევის მოწინააღმდეგენი სცდილობენ თურმე მთავრობის წინაშე, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ იქმნას ეს კანონ-პროექტი დამტკიცებული. ესენი თავისის თხოვნის დასასაბუთებლად ასახელებენ ბევრს მაგალითს, რომ ყმაწვილს თამბაქოს წევით ჰვნებოდეს რამე და ზიანი მისცემოდესო. 38 ყმაწვილში, რომელნიც 9—15 წლისანი არიან, 27 გამოაჩნდა თურმე ძარღვების სისუსტე და სხვა სნეულებანი.

— უკანასკნელს წლიურს კრებაზედ პარიჟის აკადემიაში ჰალევის, თავისის ჩვეულებრივის მახვილის ენით, აუწერია პირველი საზოგადო კრება საფრანგეთის აკადემიისა, რომელიც მოხდარა 1673 წლის 12 იანვარს. მაშინ კათედრიდგან ულაპარაკნია რასინსა, ფლეშეს და აბატ ჰალეუას, რომელნიც მიუღია აკადემიაში მაშინდელს დირექტორს, არხიეპისკოპოსს გარლენდე შამპვალონს. ამასთან ჰალევის უთქვამს: „თუ ვისმეს ჰსურს, რომ ავი და კარგი გაიგოს მაშინდელის კრებებისა, იმ დროინდელს გაზეთებს ნუ მიჰმართავს. მაშინ, ესე იგი 1673 წ., პარიჟში (მთელს საფრანგეთში) სულ ორი გაზეთი გამოდიოდა, კვირაში თითოჯერ; თანამშრომლებად ორივე გაზეთში სულ ორი კაცი იყო; ორივენი კონსერვატორულის მიმართულებისანი იყვნენ და აღმერთებდნენ და ათაყვანებდნენ მეფე ლიუდოვიკო მე-XIV მისის მინისტრებითურთ. თუ მეფე რომელსამე კანონს გამოსცემდა და ან სცემდა სადმე, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შემდეგს კვირაში საფრანგეთის მთელი მწერლობა აქებდა და ადიდებდა იმისს საქციელს“. ჰალევის თავისის ლაპარაკის დროს ამ დროისთვისაც (1888 წ.) მიუქცევია ყურადღება და უთქვამს, რომ ეხლა 1,643 დრო-გამოშვებითი გამოცემა გვაქვს და 15,000-მდე ჟურნალისტი მოგვეპოვება. აი, ასე მიდის მწერლობის მხრივ წინ საფრანგეთიო.

—ვერჩელის (იტალიაში) სისხლის სამართალს ამას წინად გაურჩევია საქმე ერთის გერმანელისა, გვარად ფორტენშინგენისა, რომელსაც თავისის თანამემამულე მიხელისაგან ფული მოუპარავს. დამნაშავეს მთელი თავისი ქონება მონტეკარლოში წაუგია, ხოლო ამას შემდეგ ექიმ მიხელისაგან მოუპარავს 400 მან.—ორმოცი თუმანი. ფულის ყუთი ღია ყოფილა, ჩაუყვია ხელი და ამოუღია. ამ კაცისათვის ხელ-მრუდობის დროს ზედ მიუსწრიათ, მაგრამ ძალიან ახირებულად დაუწყია თავის მართლება სასამართლოში. უთქვამს, რომ ნახულმა ფულმა მონტეკარლო წამომიყენა თვალ-წინ და მომეჩვენა, ვითომ ეს ფული ჩემი მოგებული იყო, ავიღე და ჩემდა უგრძნობლად, ჩემდა უნებურად ჩავიდე ჯიბეში. ცხარე წუწუნმა გამიტაცა ჩემ მიერ წაგებულის ფულის უკან დაბრუნებისამ და ამიტომ ჩავიდინე ასეთი საქციელიო. ნაფიცნი მსაჯულნი დათანხმებიან ამაზე და დამნაშავე გაუმართლებიათ. ასეთს გარდაწყვეტილებას სასამართლოსას ძალიან გაუოცებია არამც თუ მომჩივანი და მოსამართლეები, არამედ თითონ დამნაშავე და დამნაშავის ვექილიცა.

— ვენეციაში ამას წინად გარდაიცვალა ერთი მეტად ნიჭიერი ჟურნალისტი, კარლო პიზანი. იტალიის სხვა გამოჩენილ ლიტერატორებსავით, პიზანისაც ახალგაზრდობაში სდევნიდნენ ავსტრიელნი, იგი იბრძოდა თავისის პატრიოტულისა და დემოკრატიულის იდეალის განსახორციელებლად, ხოლო ბოლოს-კი კავურისა და ვიქტორ-ემანუელის პოლიტიკას მიეკვრძა. იტალიის გაზეთები ამ

მწერლის გარდაცვალების გამო მკითხველებს მოუთხრობენ ერთს ამბავს, რომელიც კარგად ჰხატავს ვიქტორ-ემანუელს. ვიღაც მინისტრთაგანმა წარუდგინა თურმე მეფეს ხელის მოსაწერად დეკრეტი, რომლითაც პიზანი, შემდეგის მხრივ მაშინ გაჭირებული, სახელმწიფო სამსახურში ინიშნებოდა. ვიქტორ-ემანუელმა ჰკითხა თურმე მინისტრს: „იცნობთ ჟურნალისტს?“—„დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ.“—„მაშ წაიკითხეთ!“ მეფემ ამოიღო ჯიბიდგან ახალი სონეტი პიზანისა და გადასცა მინისტრს. ეს სონეტი ჰკიცხავდა ვიქტორ-ემანუელს და რესპუბლიკელთა გმოგნებაზედ იყო დაწერილი. მინისტრმა წაიკითხა და სთქვა: „მაპატიეთ, მეფეო, არ ვიცოდი; რაღა თქმა უნდა, ამ დეკრეტს ეხლავე დავხევ“.—„არა, რადა?—უპასუხა ღიმილით თურმე მეფემ:—ისევ ისა სჯობია, რომ სონეტი დავხიოთ და არა დეკრეტიო“. ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ აიღო თურმე კალამი და მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლითაც პიზანი სახელმწიფო სამსახურში ინიშნებოდა, თუმცა-კი სათქმელია ისიც, რომ ეს იტალიის ჟურნალისტი დიდხანს არ იყო მოხელედ. პიზანი გარდაიცვალა თავისს სამშობლო ქალაქში, ჟურნალ „Venezia“-ს რედაქტორობის დროს.

— იტალიაში განზრახვაა იდღესასწაულონ იუბილეი ვერდისა მომავალს 1889 წელს. ამ გამოჩენილის კომპოზიტორის პირველი ოპერა, აწ უკვე დავიწყებული, Conte Oberto di San-Bonifacio დაიბეჭდა 5 ნოემბერს 1839 წლისას. იტალიელებს განზრახვა აქვსთ ამ იუბილეის საერო ხასიათი მისცენ და ამბობენ: ვერდი დიდებულია იმითი, რომ იტალიის მუსიკას სახელი გაუთქვა ევროპაში მაშინ, როცა იტალია დამახუნებული და დაჩაგრული იყო პოლიტიკურადაო.

# დეპეშა

14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ საღამოს მოვიდნენ პეტერბურგს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა და მათნი უავგუსტოესნი ძენი.

ხელმწიფე იმპერატრიცის დაბადების დღეს პარაკლისი უნდა გადაიხადონ დიდის ამბით ისააკის ტაძარში. თეატრებში წარმოდგენებია დღისით მოსწავლეთათვის.

15 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრს ებრძანა უმაღლესად, რომ გამოსცეს ახალი ოთხ-პროცენტიანი ობლიგაციები 125 მილიონ მანათისა ოქროთი. ამ ობლიგაციების გამოცემა იმიტომ არის საჭირო, რომ უნდა გამოსყიდულ იქმნას დღემდე დარჩენილი 1877 წლის ობლიგაციები ხუთ-პროცენტიანის გარედ ნასესხის ფულისა, რიცხვით 263,814,090 მარკასი. საჭიროა კიდევ იმიტომ რომ სახელმწიფო ხაზინას მიეცეს შეძლება გაუსწორდეს სახელმწიფო ბანკს იმ ქაღალდის ფულში, რომელიც დროებით იყო გამოცემული 1877 წელს მოხდარის ომის გამო. ობლიგაციები ახალის სესხისა, რომელსაც ერქმევა რუსეთის 4% 1889 წლის ოქროს სესხი, გამოიცემა 125, 625 და 3125 მანათის ღირსებისა ოქროთი. სარგებლის დენა დაიწყება 19 ნოემბრიდამ ამ 1888 წელს. სესხი გარდახდილ უნდა იქმნას 81 წლის განმავლობაში. სარგებელს სახელმწიფო ბანკი იხდის ოქროთი, ანუ ქაღალდის ფულით კურსისამებრ. ამ სახითვე იგივე ბანკი იხდის თავნსაც იმ ობლიგაციებისას, რომელიც ტირაჟში გამოვა. ობლიგაციები ამ სესხისა სამუდამოდ თავისუფალია ყოველ გვარის ბაჟისა და გადასახადისაგან რუსეთში და შეიძლება განაღდებულ იქმნას იმ საბანკო და საკრედიტო დაწესებულებათა მიერ, რომელთაც ირჩევს ფინანსთა მინისტრი. მინისტრსვე ეძლევა ნება მოსპოს ძლევა სარგებლისა 1877 წლის 5%-ნის ობლიგაციებისა, გარედ ნასესხებისა. ხოლო ამ მოსპობის გამო განცხადება უნდა იყოს დაბეჭდილი სამის თთვის წინად. ამ ობლიგაციების პატრონებს შეუძლიანთ წარადგინონ თავიანთი ობლიგაციები და იყიდონ ახლები, ხოლო თუ ყიდვა არ ენდომებათ ახლებისა, შეეძლებათ მიიღონ თავნი ფულად.

**ბუქარესტი.** დედოფალი ნატალია ამ ზამთარს ყირიმში გაატარებს.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულია. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 75 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $155^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $271^3/_4$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | $97^1/_2$ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | 97 | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 81 „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწად ია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

16 დღე ოთხშაბათი. მოციქ. და მახარობ. მათესი. კათოლ. ეპ. ედმუნდისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 4—32. მთვარე 25 დღისაა.

17 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპ. გრიგოლისა, წამ. გობრონისა, კახეთის თავადიშვილისა, და 133 მეომარისა 920 წ. კათოლ. ეპ. გრიგოლ სავვირ-მომქმედისა სომეხ. აბრამისა, ხორენისა და სხ. მაჰმად. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 26 დღისაა.

18 დღე პარასკევი. მოწ. პლატონისა, რომანისა და ზაქესისა. კათოლ. მაქსიმესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-26 რიცხვი რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—31. მთვარე 27 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზითე ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

სალიანის თევზეულობის დუქანი, რომელიც იყო პუშკინის ქუჩაზედ, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ,

## გადავიდა

იმავე ქარვასლის ჩრდილოეთის მხრისკენ, სკვერის პირდაპირ, ქიმში, სადაც კანტორა იყო ალელოვისა.

ყოველ დღე დილის მატარებლით მოგვდის ახალ-ახალი თართი, ორაგული და ხიზილალა პარკისა და ბოჩკისა. ყოველ დღე ეხარშავთ დოშს. (4—1)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

## მამული ვორონცოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე გასილის ძეს ენიუტინს. (24—10)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ | 35 |
| ვაზის ობი. . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |

| | | |
|---|---|---|
| საპონი «საპოლი» სარეცხის-ავის უვნებელია. | სარეცხის გასარეცხად ცივს წყალში თითო ნაჭერი, ნახევარ ნაჭერი, ფხვნილის ერთი შეკვრა | 30 კაპ. 15 კაპ. 20 კაპ. |
| პეწიანი ლაქი ა. ვენცელისა. | ქალისა და ყრმის ფეხთ-საცმელისა, ცხენის იარაღისა და სხვათათვის. თითო შუშა ჰღირს 50 კაპ. | |
| ფხვნილი ბრილიანტინი რადიზისისა ტრიუხტში. | ყოველ გვარ ლითონთა საწმენდელად ერთის შეკვრის $^1/_2$ $^1/_4$ $^1/_8$ | 30 15 8 კაპ. |
| მსოფლიო ცემენტი ადოლფ ბერისა. | ფარფორისა, მინისა, ხისა და სხვათა შესაწებებლად. შუშა ჰღირს 25 კაპ. | |
| პეწიანი სახამებელი ადოლფ ბერისა. | ჩვეულებრივს სახამებელში შესარევად. ერთი შეკვრა ჰღირს 25 კაპ. | |

ისყიდება ყველა სააფთიაქო და საწვრილმანო დუქნებში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ალექსანდრე ვენცელთან, ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩ., 3. მოსკოვს, მაშკოვის ვიწრო ქუჩ., სახ. სოლენიკოვებისა. (3—1)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103. (10—4)

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე